სამშაბათი, 2 მარტი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 სამშაბათი, 2 მარტი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ. — კ.
11	,,	9 ,, 50 ,,
10	,,	8 ,, 75 ,,
9	,,	8 ,, — ,,
8	,,	7 ,, 25 ,,
7	,,	6 ,, 50 ,,
6	,,	6 ,, — ,,
5	,,	5 ,, 50 ,,
4	,,	4 ,, 75 ,,
3	,,	3 ,, 50 ,,
2	,,	2 ,, 75 ,,
1	,,	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 55 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 55

წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს — 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს — 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 8 მან. 75 კაპ.

გამოვიდა ღ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესას წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოავწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის მე მომცელიძე.**

რედაქციისაგან

ჩვენ მოგვივიდა რამდენისაგანმე საჩივარი, რომ „ღალატი“, პრემია „ივერიისა“, არმ ოგვივიდაო. რედაქციამ-კი ყველას, ვისაც ჯერ იყო, გაუგზავნა. ვთხოვთ იმათ, ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, მოიკითხოს ფოსტის მახლობელ კანტორაში. საჭირო იქნება მხოლოდ რამდენისამე კაპიკის დამატება ფოსტის სასარგებლოდ.

ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.

,,ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ ,,ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

იმერიის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მინდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავსმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობა-მოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავსმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: **თ-დი დემ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.**

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბითობით ღ კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. დ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა ღ კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10 – 3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1 – 2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1 – 2 საათამდე.

(30—6.—5).

სადიდმარხვო სეზონი

წარმ. № 3 ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

კვირას, 7 მარტს 1904 წელს,
ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ,
ქ-ნთ ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთლისა, ბ-ნთ ვ. აბაშიძისა, კ. ყიფიანისა და სხვათა მონაწილეობით,
წარმოდგენილი იქნება

პარიჟის ღარიბ-ლატაკნი

მელოდრამა 5 მოქ. პროლოგითა და ეპილოგით, დენიერისა.

მონაწილეობას დებულობენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგალეთელი, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გედევანოვი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი შტოკმანი“ და «ცხოვრების გარედ».
ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის

ქალთა კომიტეტი,

რომელიც ამზადებს ნივთებს ბრძოლის ველზედ მყოფ ქსენონთა და საავადმყოფოთათვის, სთხოვს იმ ქალებს, რომლებმაც სურვილი გამოაცხადეს მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის შრომაში, მობრძანდნენ კომიტეტის კრებაზედ ოთხშაბათს, 3 მარტს, $1^1/_2$ საათზედ, კნ. ქობულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა). (2—6.—1)

იოსებ იმედაშვილისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, «ცხოვრების სარკის» (პიესების კრებულის) მე-III ნაწილის ბეჭდვა შეჩერებულია; დროებით შეჩერებულია აგრეთვე «უცხო სიტყვათა ლექსიკონის» ბეჭდვაც. წიგნის ბეჭდვა თავის დროზე დაუყოვნებლივ დაიწყება და საჩქაროდ დამთავრდება. ვინც «ცხოვრების სარკეს» ეხლავე დაიკვეთს, მანეთად დაეთმობა, მერე-კი მეტი ეღირება.

Книжный магазинъ, Гергіевская ул., домъ Арджеванидзе.
Аннѣ Николаевнѣ Имедашвили.
ანნა იმედაშვილისა.
(5—უ.—5)

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.
აკაკისა
ფასი 1 მანათი.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ა. ნ. დიასამიძე. 11 –12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების- და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი** —ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ზ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არჯანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

მიკადოს თავის მართლება—კუნძული ტორნტონი.— იაპონელების გემები ქვა-ნახშირით.—ჩინეთის ვიცე-კოროლისა და შინაგან საქმეთა მინისტრის განზრახვა.—ექიმთა ვინაობა «წითელ ჯვარში.—დუმ-დუმის ტყვიები.

რუსეთის მთავრობა ამტყუნებს იაპონიას, რომ საერთაშორისო კანონები დაარღვია და გაიძვერულად დაეცა რუსეთის ფლოტს, ვიდრე ომი გაოცხადდებოდაო. რუსეთი მოწადინებული იყო, მშვიდობიანობა დაეცვა და მოლაპარაკების მოსპობა იაპონიის მხრივ ომის გამოცხადებად არ მიაჩნდა.

ამის გამო, იაპონიის მიკადოს პასუხი დაუწერია რომელიც ინგლისის გაზეთებშია დაბეჭდილი, მისი შინაარსი მოკლედ დეპეშით გვეცნობა. იაპონია ასე მართლულობს თავს:

რუსეთი ამტკიცებს, რომ გულითა სურდა მშვიდობიანობა დაეცვა. ეს მართალი არ არის და არც ეთანხმება იმ გარემოებას, რომელმაც გამოიწვია მოლაპარაკების მოსპობა. რუსეთი მოლაპარაკების დროს სულ უარ-ჰყოფდა იაპონიის მშვიდობიანურს წინადადებას. მოლაპარაკებას აგრძელებდა და პასუხს აგვიანებდა და იმავე თავისს ფლოტს აძლიერებდა და საომრად ემზადებოდა. ეს ფაქტები მტკიცდება შემდეგის საბუთებით:

1) 1903 წლის 1 აპრილიდგან, იმ დღიდგან, როდესაც არ შეასრულა თვისი დაპირება მანჯურიიდგან ჯარის გამოყვანის შესახებ, რუსეთმა შორეულ-აღმოსავლეთში უფრო გააძლიერა ჯარი.

2) იმ დროიდგანვე რუსეთის ფლოტს მოემატა:

3 ჯავშნიანი გემი	38,488	ტონისა.
1 ჯავშ. კრეისერი	7,726	« «
5 კრეისერი . .	27,417	« «
7 ნაღმის მსუსრველი	2,450	« «
1 კანონერკა . .	1,334	« «
2 სხვა-და-სხვა გემი	6,000	« «
სულ 19 გემი	82,415	ტონისა.

რუსეთი ხმელეთითაც, ჰგზავნიდა დაშლილ გემებს და ამ რიგად პორტ-არტურში გამართეს 7 ნაღმის მსუსრველი გემი. თავისუფალ ფლოტის ორი გემი სამხედრო გემებად გადააკეთეს და შეაიარაღეს ვლადივოსტოკში.

ამათ გარდა, რუსეთმა გამოგზავნა ერთი ჯავშნიანი გემი, 3 კრეისერი, 3 ნაღმის მსუსრველი და 4 ნაღმიანი გემი, სულ 30,740 ტონი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთის ფლოტს უნდა შეერთებოდა, თუ რომ გარემოების ძალდატანებით რუსეთს უკანვე არ გაეწვია. თუ რომ ეს გემები მოსულიყვნენ, მაშინ შორეულ აღმოსავლეთში წარსულ წლის 1 აპრილიდგან რუსეთის ფლოტს მიემატებოდა 133,000 ტონი.

3) რუსეთმა 1903 წელს 29 ივლისიდგან თავის ხმელეთის ჯარიც გაადიდა. სწორედ ამ დღეს, ვითომ იმ მიზეზით, რომ გამოსცადოს ციმბირის რკინის გზის სიკეთე თუ უვარგისობა, გამოგზავნა 2 ბრიგადა ქვეითა ჯარისა, ორი ბატალიონი არტილერიისა, კორპუსი კავალერიისა და ერთი სამხედრო მატარებელი. მას აქეთ რუსეთი ჯარს ყოველ დღე უმატებდა შორეულ აღმოსავლეთში. თებერვლის პირველ რიცხვებამდე (იანვრის 19—20) ამგვარად მოუმატა 40,000 კაცი. დამტკიცებულია, რომ რუსეთი აპირებდა, კიდევ გამოეგზავნა 200,000 კაცი.

4) რუსეთი დღე და ღამე ამუშავებდა პორტ-არტურის და ვლადივოსტოკის ციხე-სიმაგრეებზე მუშებს და ახალ ციხეებს აშენებდა და აწყობდა ხუნჩ-ჩუნზე, ლიაოიანზე და სხვა მრავალ სტრატეგიულ ადგილებზე. განუწყვეტლივ ჰგზავნიდა იარაღს და ჯარის კაცების ტანისამოსს და საჭირო ნივთებს ციმბირის რკინის გზით და თავისუფალის ფლოტის გემებით. წარსულ ოქტომბერს საჩქაროდ გამოიგზავნა მატარებელი 14 ვაგონით, რომლებიც მოწყობილი იყო სამხედრო საავადმყოფოდ.

ამ ფაქტებიდან ცხადად მტკიცდება, რომ რუსეთი სრულიად არ იყო მოწადინებული მშვიდობიანის მოლაპარაკებით დაემთავრებინა უთანხმოება, რომელიც უნდოდა

ჯარის სიმრავლითა და ძლიერებით თავისი გაეყვანა და იაპონია ძალად დაეყოლიებინა.

მეტადრე ცხარედ შეუდგა მხედრობის გაძლიერებას წარსულ იანვარში.

21 იანვარს (ახ სტ.) ორი ბატალიონი ჯარი და კავალერიის რაზმი პორტ-არტურსა და დალნიდგან კორეის ჩრდილო სამზღვრისაკენ გაჰგზავნეს. 28 იანვარს (ახ. სტილით) ადმირალმა ალექსეევმა ბრძანება მისცა იალუსთან მყოფ ჯარს, საომრად მზად იყოს. 1 თებერვალს ვლადივოსტოკის კომენდანტმა გამოუცხადა იქ მყოფ ინგლისელებს: ან სამშობლოში წადით ღ ან ხაბაროვსკში, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელია ქალაქში სამხედრო წესი გამოცხადდესო. ამავე დროს სამხედრო გემი, გარდა ერთისა, პორტ-არტურიდგან გამოვიდნენ რაღაც გაუგებარ დანიშნულებისამებრ, ხმელეთის ჯარი-კი ლიაო-იანიდგან იალუსკენ წავიდა.

ამ გარემოებაში ვინ იფიქრებდა, რომ რუსეთი მოწადინებული არ იყო და არ ემზადებოდა საომრად? იაპონია-კი მტკიცედ დარწმუნდა, რუსეთი საომრად მზად არის და უნდა კიდეც გვაიძულოს. ამის გამო შევწყვიტეთ ჩვენ ლაპარაკი და გადავწყვიტეთ ჩვენი ინტერესების დასაცველად შესაფერი ღონისძიება მიგვეღო.

მაშასადამე, ომის გამოწვევის მიზეზი და პასუხის-მგებელი რუსეთი უნდა იყოს და არა იაპონია.

მოლაპარაკების შეწყვეტით, ჩვენის ელჩის გამოწვევით რუსეთიდგან და განცხადებით, რომ ჩვენის უფლების დასაცველად თავისუფალ ღონისძიებას მივმართავთო, ცხადად გამოვთქვით, რაც გვინდოდა და, თუ რუსეთი ვერ მიხვდა, იაპონიის ბრალი არ არის».

ომის გამოცხადება საჭირო არ არისო, ამბობს იაპონია,—საერთაშორისო კანონების იურისკონსულტები ამ აზრისანი არიანო.

ამ უკანასკნელის აზრის გამო, საყურადღებო ცნობებია მოყვანილი გაზეთ «პრავოში», სადაც აღნიშნულია წარსულ საუკუნეში მომხდარ ომის ამბები. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მხოლოდ ორ შემთხვევაში დაწყებულა ომი გამოუცხადებლად და ერთ შემთხვევაში თვით იაპონია ყოფილა მოთავე.

—

ამას წინად აღვნიშნეთ, რომ იაპონიას დაუჭერია ერთი ელიოტის კუნძულთაგანი, რომელიც რუსეთს მიუტოვებია. ამ კუნძულზედ შესანიშნავი ნავთსადგური ყოფილა—ტორნტონი, ყველა მხრიდგან მთებით შემოზღუდული, თითქო განგებ არის გაკეთებულიო. აქ დამალულ გემებს მტერი ვერასგზით ვერ ავნებს, რადგან ნავთსადგურში შესვლა არ შეუძლიან, მაღალ მთებს-კი ყუმბარა ვერ გადასცილდება. ამასთანავე, კუნძულს სტრატეგიული მნიშვნელობაცა აქვს, რადგან ახლო არის იმ ადგილზე, სადაც მდინარე იალუ ზღვას ერთვის. ახლოვე არის ნავთსადგურები ბიძევა და დაგუშავე. კუნძულზე რამდენიმე სკოლაა; ჩინელებითაა დასახლებული, რომელნიც თევზაობითა ცხოვრობენ. („რ. ვ.“).

—

ანტვერპენში იაპონიიდგან ცნობა მოსულა, რომ ნაგასაკსა და შანჰაის შორის გემთა სიარულის წესი აღუდგენიათ და აქედგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ იაპონიას თანდათან თავისი საქმეები გამოუკეთებია. ომის დაწყების შემდეგ ანტვერპენიდგან 8 სატრანსპორტო გემები გასულა იაპონელებისა, ქვა-ნახშირით დატვირთული. მას შემდეგ ამ გემებზედ აღარა ისმოდა-რა. ჰფიქრობდნენ, რუსეთის ესკადრას თუ ჩაუვარდაო. თვით იაპონელები ამის გამო ძალიან არხეინად არიან. იაპონიის მთავრობას ამ გემებზე ნიშნები მოუშლია და, გზაზე ნავთსადგურებში რომ შეიარონ, არსად არ ჩაიწერებიან. ამას გარდა, გემებს დავალებული ჰქონდათ, ხმელეთს ერიდონ და ჩვეულებრივ გზას მოშორდნენ. ამ დღეებში ეს გემები დანიშნულს ადგილას უნდა მისულიყვნენ. («პ. ვ.»).

—

პეკინიდგან ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ: ვიცე-კოროლმა იუანშიკაიმ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ტიგ-ლიანმა ჩინეთის იმპერატორს მოხსენება მიართვეს, რომლითაც უმტკიცებენ, საჭირო იაპონიასთან ხელშეკრულობა დავდვათ შემდეგის მოსაზრებითაო:

1) იაპონიის ჯარი რუსეთისაზედ ძლიერია.

2) იაპონიას მხოლოდ კორეაზე უჭირავს თვალი და, რომ გაიმარჯვოს, მანჯურიას არ დაისაკუთრებსო.

3) ჩინეთის ჯარი ბევრად გამოიცდებოდა, იაპონელ ჯართან რომ იმოქმედოს და ეხლანდელის ომის ხერხი რომ შეისწავლოსო.

4) ჩინელები და იაპონელები ერთის მოდგმისანი არიან, მათი მწერლობა ერთგვარია და მათთან ერთობა უფრო ადვილია, ვიდრე რუსებთანაო.

5) იაპონიის ჯარის დისციპლინა მკაცრია და, ჩინელებიც რომ ისე გაიწრთვნან, სამეფო ტახტსა და სახლს ფიქრი და შიში აღარ ექმნებაო. (იქვე).

—

«წითელის ჯვრის» საზოგადოება იწვევს ექიმებს შორეულ-აღმოსავლეთში გასაგზავნად და მოწვევის ფურცელში სწერს, რომ უფროსი ექიმი უთუოდ მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა უნდა იყოს, ხოლო უმცროსები შეიძლება მართლ-მადიდებელნიც იყვნენ, ლიუტერანებიცა და რომის კათოლიკენიცაო.

ამისთანა შეზღუდვა ისეთს საქმეში, რომელსაც საერთაშორისო ხასიათი აქვს და „წითელი ჯვარი“ ეწოდება, მეტად ცუდად მოქმედებს ჩვენზედაო,—ამბობს «პეტრ. ვედომ.»-ში ბ-ნი ა. ს—ნი. ცხადია, რომ ამისთანა კანონი არსებობს მშვიდობიანობის დროსათვის და, საფიქრებელია, ყოფილა ისეთი წუთი, როდესაც ასეთი კანონი ცხოვრების მოთხოვნილებას გამოუწვევიაო. მე მითხრეს, ეს ღონისძიება პოლონელთა წინააღმდეგ არის მოგონილიო. მართალია, იყო დრო, როდესაც პოლონელები აჯანყდნენ, რუსები აშვიდებდნენ და დამშვიდების შემდეგ მკაცრი, მაგრამ საჭირო, ღონისძიება შემოიღეს. მაგრამ ის დრო წავიდა, იმ ამბავმა ჩაილულის წყალი დალია და იმ სამწუხარო დროს მოსაგონებლად-კი დარჩენილა ისეთი კანონები, რომელიც საზოგადოებას სრულებით და მთავრობას ნახევრად მაინც მიავიწყდა და აღარც ასრულებს. მაღალი საექიმო ადმინისტრაცია სავსეა სახელ-განთქმულ გერმანელებით და ისინი გამგებლობენ, თუმცა შეზღუდველ კანონში ლიუტერანებიც მოხსენებულია. აქედგანა სჩანს, რომ კანონს გზას უქცევენ, კანონი დაძველდა და ცხოვრება ანგრევს და ჰფლეთს ძველს, გამოუდეგარს წესს... ეხლა ცხოვრება უფრო საზარლად სჩქეფს, მისი საქმენი და მოთხოვნილებანი საშინლად გამწვავდა, სახელმწიფოს ერთგულთა ხელნი ვერ ასდის და ამ დროს-კი მოსჩანს დამჭკნარი და დახავსებული სახელმწიფო კანონები, რომელსა-ც განახლება ესაჭიროება.

დუმ-დუმის ტყვიები.

«გაუმჯობესდა» კაცთა საჟლეტი იარაღები, გაუმჯობესდა ტყვიაც: ჩვენებური ტყვია, კარგად მოგეხსენებათ, თავის დროსს თავისს საქმეს კარგად ასრულებდა; ეხლა-კი სასაცილოდაც არავის ეყოფა. ისეთი თოფის ტყვიები მოიგონეს, რომ სპილოსაც გადააქცევს და რკინასაც გახვრეტს, როგორც შარშან ზაფხულს ხაშურში მოხდა. თქმა არ უნდა, რომ კაცს ასეთი ტყვია ხეირს არ დააყრის.

რადგან ახალს ტყვიას დიდი ვნება მოჰქონდა ომიანობის დროს, ზოგმა კეთილმა ადამიანმა განიზრახა, ისეთი ტყვია მოეგონა, რომ ნაკლები ზიანი მიეცა დაჭრილ ადამიანისათვის, ხოლო ფეხზე დგომა კი აღარ შესძლებოდა დროებით მაინც.

მოიგონეს კიდეც.

ყველას მოგეხსენებათ, რომ ეხლანდელი ტყვია თითბრის სათითეშია ჩასმული, წამალიც შიგა აქვს და ფისტონიც, ასე რომ მზად გატენილია. თოფში თუ სდებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ შორს წავიდეს და მიზანს მოჰხვდეს. ტყვია რომ გავარდებოდა, სათითე თოფში რჩებოდა.

ტყვია რბილია და მაგარს რასმე რომ მოხდება, ვერ შეატანს, დაიჟეჟება და დაჩლუნგდება, ან ძვალში გაჩერდება. ამგვარად დაჭრილი კაცი იშვიათად მორჩება, მით უმეტეს, რომ ასეთი ტყვია მწვავეა, უსუფთაო და ტანთსაცმლის ნაფლეთსაც შეიტანს ძვალსა და რბილში.

ეხლანდელს ტყვიას ყოველი ეს კაცის მტანჯველი თვისება აღარა აქვს. მთლად ტყვია ვიწრო მოგრძო და წოპიან სათითეშია ჩასმული, მოვერცხლილ-მოვარაყებულში და ბურღიან ლურსმანსა ჰგავს. ახალის თოფის გულიც ხომ ამობურღულია და ამის გამო უფრო მძლავრად ისვრის. ტყვია პროწიალით გაზუზუნდება, რამდენსამე კაცს გაუვლის ტანში, ვიდრე პროწიალი შეუძლიან, და მცირე კვალს დასტოვებს. თუმცა ამ ტყვიით დაჭრილთა რიცხვი მეტი იქნება, მაგრამ ჭუჭყს არ შეიტანს ტანში და ამის გამო დაჭრილები ნაკლებადაც ეწვალებიან და უფრო ადვილად რჩებიან.

ამნაირი «კაცთ-მოყვარე» ტყვია ზოგს კაცის მტერს არ აკმაყოფილებს, ელეტა—ელეტას უნდა ჰგავდესო, და ისეთი საშინელი ტყვია მოიგონეს, რომ დაჭრილს აღარა ეშველება-რა. ამ ტყვიას «დუმ-დუმ» ჰქვიან, ჩვენებურად-კი უმჯობესი იქნებოდა ეწოდებინათ «და-და-და-და»!»

ეს საძაგელი ტყვია აღწერილ ლურსმულ ტყვიისაგან მცირე რამით განსხვავდება: სათითეს წვეტი შეკვეცილი აქვს და ტყვია სჩანს, ან თვით სათითე დასერილია. მაგარ ისეთს რასმე რომ მოხვდება ეს ტყვია, როგორიც ძვალია, შიგ ვერ შეატანს, გაითხლაშება და სათითეს დალეწს. ლითონის ნაჭრები ხორცს დაჰფლეთს და დაჭრილს საშინელს ტანჯვას მიაყენებს. ამგვარად, დაჭრილი ძნელად გადაურჩება სიკვდილს.

იგლისელეს უჩიოდნენ ბურები, ამისთანა ტყვიებს ხმარობდნენ ომშიო, თუმცა საერთაშორისო მორიგებით აკრძალულია.

ტფილისი

⁂ როგორც მკითხველთ უწყიან, მოსკოვში სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრება იყო დანიშნული. კრების საგანი იყო, მსჯელობა ექონია შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ამ კრებას დაუდგენია: 1) ყველა გუბერნიებში შეიკრიბოს შეწირულებანი ფულად თუ ნივთად, 2) გუბერნიებიდგან შეწირულებანი გაიგზავნოს მოსკოვს საერთო კასაში, სადაც დაარსებულია უმთავრესი გამგე-კომიტეტი მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით, 3) უმთავრესის გამგე-კომიტეტის წევრებად იყვნენ ყველა გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი, 4) ამ კომიტეტმა შეჰკრიბოს ფული და საერთო კასას გადასცეს, 5) სასურველია, ყველა გუბერნიებში შესდგეს ადგილობრივი კომიტეტი და შეწირულებანი შეაგროვოს, 6) ახლავ მოაწყოს ქსენონი 200 საწოლით.

⁂ მოკლე ხანში დაინიშნება საგანგებო კრება ტფილისის ფარმაცევტთა საზოგადოებისა. კრება, სხვათა შორის, მოილაპარაკებს ბ-ნ ბლიუმენტალის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

⁂ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ჰქონდათ კოჯრის ქალაქის რწმუნებულთ. კოჯრის მამასახლისად არჩეულ იქმნა ი. ბ. ხალათოვი, თანაშემწედ—მ. გ. გრიგორიევი.

⁂ 28 თებერვალს მესამედ ჰქონდათ კრება ტფილისის «კრუჟოკის» წევრთ. ვერც ერთს წინანდელს კრებაზე ვერ გადასწყვიტეს, რამდენი გადაედოთ რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის. ერთნი თხოულობდნენ 15,000 მანეთი გადავდოთო, მეორენი ამტკიცებდნენ, ამდენი შეძლება არა გვაქვსო. 28 თებერვალს, დიდის კამათის შემდეგ, კრებამ გადასწყვიტა 15,000 მანეთი გადაიდოს.

⁂ ამიერ-კავკასიის უმთავრეს სახელოსნოების ზოგიერთ მუშებს, რიცხვით 30 კაცს, სურვილი განუცხადებია შორეულს აღმოსავლეთში სამუშაოდ წასვლისა. სასყიდელს მუშები ბევრს არ თხოულობენ. სახელოსნოების უფროსს განუზრახავს, უფასო ბილეთები მისცეს ამ კაცთ და რკინის გზით შორეულს აღმოსავლეთში გაჰგზავნოს.

⁂ იმ კვირია კრება ექმნება კავკასიის საიმპერატორო სამკუნალო საზოგადოებას.

ფელეტონი

უბრალო საუბარი

მელიას მონაპარავი მგელმა დაირჩინა! მესხის ნახნავ-ნათესი გუნიამ იგდო ხელში და შიგ ნამგალიც შეიტანა: ამ დღეებში წარმოადგინეს «ღალატი», თეატრი გატენილი იყო. გუნიასა და მისს ამხანაგებს «ჩხრიალ-ჩხრიალი» ჯიბეში. მესხსა და მისს თანაშეთქმულებს — «ბრაწი-ბრუწი!» აბა ამაზედ არის ნათქვამი: «როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო», ანუ, სახარებას რომ მივმართოთ: «რომლითა საწყაულითა მიუწყო, მოგეწყოს შენო»!

პიესა «ღალატი», როგორც სასცენო ფერადი ოქროქსოვილი, სწორედ სათვალთმაქცოა: თვალსა სჭრის, გულს იტაცებს და გონებას ატყუებს. და ამიტომაც მნახველი არაოდეს არ მოაკლდება. ბ-ნმა სუმბათაშვილმა «ჯიმშედის კვერცხივით» გამოაგორა სცენაზე ეს დრამა, რომელიც ჭირისა და ლხინისაკენ ერთნაირად მიკოტრიალობს. ხან გვატირებს და ხან გვაცინებს. გვატირა, როცა პირველად რუსებმა წარმოადგინეს, გვაცინა, როცა პირველად ჩვენ, ქართველებმა, დავდგით სცენაზე და ამ უკანასკნელმა წარმოდგენამ-კი ვეღარც გვატირა და ვერც გვაცინა. არტისტები «ვერ სცემდნენ ხელმარჯვედ ჩოგანს». ამ ჩვენ სარკე-კაცებს ვერ ჩაესახათ სავსებითა და სინამდვილით ის, რაც მერე ჩვენთვისაც უნდა დაენახვებინათ. სარკეს თუ ზედაპირიც გამურული აქვს, რაღას ვარგა? და ჩვენი არტისტების-კი, ამ სარკე-კაცების, ზედაპირიც გამურულია და ეს მურია ქართულის უცოდინარობა. ამ მხრით ყველა მათგანი კოჭლობს და ვაი მისს ყურთა-სმენას, ვინც კარგად იცის ქართული... რამდენი ეკალი ეჩხვლიტება ყურში?!—არა!.. ვისაც უნდა, რომ ქართულ თეატრში იაროს, იმან უნდა ქართული დაივიწყოს და მთქმელს გაუთანასწორდესო. უნდა გაიხსენოს ძველებური არაკი: ერთ მეფეს, საომრად მიმავალს, ჯარი გზაში გაუგიჟდა, არ გადარეულა მხოლოდ მეფე და მისი ვეზირი. ჯარს თურმე «გიჟი წყარო» დაელია და რადგანაც მორჩენა აღარ შეიძლებოდა, მეფემ და მისმა ვეზირმაც ასე გადასწყვიტეს: ჩვენ ორი მარტო რომ ჭკვიანად დავრჩეთ ამდენ გიჟში, რაღას გავაწყობთო? სჯობს, რომ სხვებს გავუთანასწორდეთ და ჩვენც გავიგიჟოთ თავიო. წავიდნენ და თვითონაც დაეწაფნენ იმ უცნაურ წყაროს. სწორედ ასე უნდა მოიქცეს ქართულის მცოდნე ქართველიც, როცა ქართულ თეატრში მიდის, თუ უნდა, რომ გაიგოს რამე. ის პიესები, რომელიც წმინდა ქართულის ენით არის ხოლმე დაწერილი, ქართულ სცენაზე წამებული არის და გაუგებარი!..

მაგრამ ესევე-კი არ ითქმის «ღალატის» შესახებაც: რუსულადა აქვს ყველას წაკითხული და მხოლოდ თამაშს უყურებს. ჩვენც აღარ გამოვუდგებით ქართულ სიტყვიერებას და პირდაპირ გადავალთ თამაშზე.

1) ბ-ნი კოტე ყიფიანი სოლეიმანის როლში.

ნათქვამია: კაცი ბედაურიდან ჩამოხტა და ჯორზე შეჯდაო. ყიფიანმაც ანანიას როლი უკუაგდო და სოლეიმანისას გამოუდგა. ალბად ჰარამხანამ წაიტყუა და მესხიშვილობა მოინდომა! მაგრამ სად ახალგაზდის ვნებათა-ღელვის ჰექა-ქუხილი და სად მოხუცის ნაძალადევი ოხვრა-გმინვა? პირველი პრაქტიკაა ძლიერი, უთეორიოდ, და მეორე-კი—ძლიერი თეორია უპრაქტიკოდ. მესხიშვილი ნამდვილი სოლეიმანი იყო და ყიფიანი-კი ნაძალადევი და მიტომაც ძალას ატანდა მოძრაობას. ხვანხვალობდა... რაც არ შეჰფეროდა სოლეიმანს. სოლეიმანი აღმოსავლეთის ფანატიკოსი მტარვალია. ძლევა-მოსილობას გაუდიდგულებია. «ჩემზე მაღლა ღმერთია მხოლოდ», გაიძახის. თავმოყვარეობას გაუქვავებია. დაბლა მხოლოდ კრიალოსანს ათამაშებს ზარმაცად ჩაფიქრებული! ალბად ანგარიშობს, თუ სად და როდის, რამდენჯერ გავიმარჯვეო და მაღლა ალლაჰს შეჰყურებს. უმოძრაოა, მარტო გულის თქმად გადაქცეული და მღელვარებასაც მხოლოდ თვალებით გადასცემს. სხვების სიტყვებს, გინდ რიგზე ნათქვამიც იყოს, ის პასუხს არ აღირსებს და სხვას რისმე უბრძანებს, თითქოს დასცინისო. მაგალითად, როცა ზეინაბი თავის გრძნობა-სურვილს ფიანდაზად უფენს, ის უპასუხებს: «რუქაია გამომიგზავნეო»! იმადლება ყოველ-გვარ სიტყვა-პასუხს, გარდა ბრძანებისა. თვით მხურვალების დროსაც-კი ზარმაცად იღებს ხელს, რომ რუქაიას ხუჭუჭ თმას შეეხოს. ერთის სიტყვით, გარეგნობით ქანდაკ-კაცია და იმავე დროს შიგნით-კი აგზნებული კოცონი (საკირე). და ამისთანა კაცი აატუნდრუკა სცენაზე ბ-ნ ყიფიანმა. გვიკვირს, როგორ მოუვიდა, რომ ვერ შეიგნო სოლეიმანის განსაკუთრებითი ხასიათი? ალბათ რაღაც გარეშე მიზეზმა ააჩქარა და დაავიწყდა ბრძნული ანდაზა: «აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო»!

2) ბ-ნი გუნია ოთარ-ბეგის როლში.

ვინ არის ოთარ-ბეგი?—ბუნებითად ქართველი და აღზრდით-კი—სპარსელი. სასახლის კარზე გაფლიდებულს, სახარებისა და ვეფხის-ტყაოსნის ნაცვლად, გულში ყურანი და ფირდუსი შეჰპარვია. საორჭოფოდ არევია გრძნობა-გონება — «შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო»,—უბრძანებს სახარება. «დაიმონე ცეცხლითა და მახვილითაო»,—ურჩევს ყურანი. «რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო», ეხმატკბილება «ვეფხის-ტყაოსანი». «რასაც მოიხვეჭ შენია, რასაც არა, ის სხვას დარჩებაო», ელაზღანდარავება შაჰნამე. ქართულმა ბუნებამ შეამკო ის ყოველგვარ სამხრო ღირსებით, ყიზილბაშურმა აღზრდა-წრთვნამ-კი გაუხუნა ყველაფერი და გააორბუნებოვანა, გააქართველ-თათრა. მის წაღმა-უკუღმა საფრიალო დროშაზე აწერია: «თუ მე აღარ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო!» პირველობას ეძებს და რადაც უნდა მოიპოვოს ის და რა გზითაც. სულ ერთია მისთვის. ქართველობის დროს უპირველესი ქართველია და თათრობის დროს პირველი თათარი. ამისთანეები იყვნენ უცხო კარზე აღზრდილნი, ზოგიერთი ერისთავ-დიდებულები და ოთარბეგიც ერთი მათგანია: სანამ ქართველობა ბრწყინავს და მეფეც მორჭმით ზის, ოთარბეგიც საქართველოს პირველი ბურჯია, თეიმურაზ მეფის მეინახე და მარჯვენა ხელი; ქრისტეს მხლსავი, რაინდი, გმირი. და როცა თათრობა შემოდის, მაშინ-კი მაჰმადის მიმდევარი, სოლეიმანის ერთგული ვეზირი. აღარ აგონდება ჯვარი და სახარება!.. თვალთმაქცობით ყურანსა და მთვარეს ეპოტინება. ყოველ თათარზე უარესი თათარია! უფრო მავნებელი და მაზარალებელი ძველ თანამოძმე ქრისტიან ქართველების. სოლეიმანს ეზიზღება, მაგრამ დრომდი ენდობა, რადგანაც კარგად იცის, რომ, «ადგილის კურდღელს, ადგილის მწევრით უფრო ადვილად დაიჭერს»; და მიტომ მხოლოდ იმ განზრახვით ჰმოსავს პატივითა და დიდებით, რომ გადიადებულ-გამდიდრებულის მოღალატის ხელით უფრო ადვილად და მოხერხებულად ამოჰხადოს სული საქრისტიანო-საქართველოს. ეს ოთარსაც კარგადა აქვს შეგნებული, ფრთხილობს და შიშით კანკალებს. მეტი ან-კი რაღა გზა აქვს. და როდესაც გაიგებს, ქართველობა იღვიძებსო, მაშინ-კი იმართება წელში და ამბობს; «გამაუკუღმართეს, მაგრამ იაფად არ დავუსვამ იმათ ჩემს გაუკუღმართებასაო»! ამ მომენტიდგან სამარცხვინო ტვირთ-მოშორებული ოთარი ისე მაღლა უნდა იდგეს წინანდელ ოთარ-ბეგზე, როგორც სახარება ალ-ყურანზე. სასცენოდ ამის დასურათებას დიდი ძალი უნდა. და ჯერ-ჯერობით ჩვენში არავინ გვეგულება მართლა, რომ ოთარ-ბეგობა ისე შეჰფეროდეს, როგორც გუნიას. ამ ჰკუა მეცადინეობით გაარტისტებულ კაცზე ბევრი რამ გვაქვს სათქმელი და კიდევაც ვიტყვით თავის დროზე, და დღეს-კი მის

—

უკანასკნელ თამაშს შევეხებით: ის ვეღარ იყო, რაც უნდა ყოფილიყო. როლი ავიწყდებოდა და შიგა და შიგაც კოჭლობდა. სასცენოდ მომადლებულ ხმასაც ვეღარ ხმარობდა; რუსის სატრაქტირო მოშლილ არღანსავით ხან უადგილოდ ბობღინებდა და ხან წრიპინებდა. გუნებაზე არ იყო, როლში ვეღარ შედიოდა და მსმენელთა მოსატყუებლად გარეგნობას ატანდა ძალას, მაგრამ არა გამოდიოდა-რა. მიგალითად, რა იყო ის უცნაური ბეჭების რხევა და რომელის გრძნობის გამომხატველი? ყოველგვარ სულის მოძრაობას თავისი შესაფერი გარეგანი გამომეტყველებაცა აქვს. ამას ეძახიან მიმიკას. რა გრძნობითაც არის ადამიანი შეპყრობილი, იმ გრძნობის შესაფერი მიმიკაც თან ახლავს, თავის-თავად, ძალდაუტანებლად გამომეტყველი. და როცა გრძნობა ნაძალადევია, მაშინ-კი გარეგნობაც ვეღარას გვაგულისხმებს. როდესაც ვნებათა-ღელვით გამსჭვალული ზოგიერთი ცხოველი, მაგალითად, ფრინველი, სატრფიალო სიამოვნებასა ჰგრძნობს, მხრებს აიწევს და ფრთებს აფართქუნებს. ადამიანსაც იმ აღელვების დროს, მხრები ეწურება, თითქოს ბეჭებში შეუღიტინესო. ეს რომ იციან კეკელა (კოკეტკა) მზეთ-უნახავებმა, დიდ ყურადღებას აქცევენ გულ-მკერდ-ბეჭის ფრთებს და დეკოლტეში გამოჭიმულები, როცა უნდათ, შეათამაშებენ ხოლმე ბროლ ფიქალს, თითქოს მიძინებული ზღვის ტალღა შეარხია სიოსო. ამას რომ მოტრფიალე მამა-კაცები თვალს მოჰკრავენ, წარმოუდგებათ ხოლმე: ეჰ, გავკეთდით კაცი! გვეშველა, ეს არის!.. ჩვენის სურვილის მინაზერმა გასჭრაო! გადაჰყვებიან ხოლმე ნაოცნებარ სურვილს და მათი შეცდომა, მათკენვე უკუქცეული, მათს გულში ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება, სხვათა შორის, განიხილავს საზოგადოების მიერ საგანგებოდ არჩეულ კომისიის მოხსენებას. მოხსენება შეეხება ტფილისში სასანიტარო-სამკურნალო ორგანიზაციისა და მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის წესიერად მოწყობას.

⁂ დღეს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრებას რამდენიმე საყურადღებო მოხსენება აქვს განსახილველი. კრება საღამოს $7^1/_2$ საათზე დაიწყება.

⁂ 14 მირტისთვის დანიშნულია ტფილისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების წევრთა კრება. პირველად დანიშნული კრება არ შესდგა.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ახალციხესა და ახალქალაქში აკრძალულია ყოველგვარ იარაღის ტარება.

⁂ წარსულ ოთხშაბათიდან ლექციების კითხვა დაიწყეს ტფილისის ოლგას საბებიო ინსტიტუტის სადგომში. ამზადებენ სათნოების დათ. ლექციებს ოთხშაბათობითა და შაბათობით უკითხავენ გამოცდილნი მკურნალნი.

⁂ ტფილისის ბებია-ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებას მომავალ წელს, ვარაუდით, 1,050 მანეთი შემოსავალი ექმნება, ხარჯი—658 მანეთი.

⁂ ამ დღებში აპირებენ ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების კრების დანიშვნას. კრებამ, სხვათა შორის, თანამდებობის კაცნი უნდა აირჩიოს.

⁂ არაქსიანის თეატრში ამას შემდეგ ხშირად გაიმართება სახალხო კითხვები. კვირაში რამდენსამე დღეს ბ-ნი არაქსიანი თეატრის შენობას უფასოდ უთმობს სახალხო კითხვებისათვის.

⁂ რედაქციამ მიიღო სომხურ ჟურნალის «მურჭ»-ის მეორე ნომერი. ამ ჟურნალიდგან საყურადღებო წერილებს მკითხველთ თავის დროზე გავაცნობთ.

⁂ მოგვივიდა ახალი პატარა საყმაწვილო წიგი სურათებით «ძუნწი და პატარა», პოემები შ. მღვიმელისა. წიგნი ლამაზად არის დაბეჭდილი, სურათებიც კარგია და ქაღალდიც. შინაარსი ორივე ნაწერისა ადვილად გასაგებია პატარებისათვის და ლექსი ყოვლად მსუბუქი.

ზოგიერთების საყურადღებოდ.

(წერილი რედაქციის მიმართ)

საშინელი, დამღუპველი ზნე გვჭირს ქართველებს. ერთი-ერთმანეთის კრიტიკა, ჯიბრი, გაკილვა, დაცინვა მოურიდებლად მოდებულია ჩვენდა სამწუხაროდ და მტრების სასიხარულოდ მთელს ქართველობაში. კრიტიკა-მეთქი, მაგრამ როგორი? ისეთი-კი არა, რომელიც აფხიზლებს, თვალებს უხელს და ჭეშმარიტს გზაზე აყენებს, არამედ, პირიქით, კრიტიკა დაცინვისა, ჭორიკანობისა, მტრობა-ჯიბრისა. ასეთი კრიტიკა თვალებს-კი არ უხელს, ხშირად უფრო საძაგლად უხუჭავს, ჭეშმარიტებისაკენ-კი არ მიჰყავს—უკუღმართობაზე აყენებს.

უბედურება ის არის, რომ არც გვინდა ჩვენ გავაკეთოთ რამე და სხვასაც არ ვუხმარებით. ნეტავი, თქვენის სიცოცხლით, ეს გაუბატონები თავის უთავბოლო დაშარაკით ხელს არ უშლიდნენ, თორემ სხვა, კიდევ მადლობა ღმერთსა, ყოყოჩობა, მეგირალა სიტყვების ბრახა-ბრუხი, კუდა-ბზიკაობა—რამდენიც გნებავთ, ხოლო თვით საქმე-კი... უკაცრავად, მაგაზე ბოდიშს იხდიან. თუ რომელმამე კაცმა გაჰბედა და რამე საზოგადო საქმე დაიწყო, ვაი იმისი ბრალი, დაწყებისათანავე ჩააშლევინებენ, დაუწყებენ კილვას, ჭორიკანულს კრიტიკას და ყველგან და ყველასთან ამას გაიძახიან: მაგ საქმიდგან ხეირი არ გამოვაო. მერე რა დასთესეთ, ბატონებო, რომ მოსამკელად ნამგლებსა ლესავთ? ჯერ მოეხმარეთ, ეკლიანი გზა გაუკაფეთ, დააყენეთ მტკიცე ნიადაგზე და შემდეგ მოსთხოვეთ თქვენც სამაგიერო, თორემ ერთმა და ორმა მოღვაწემ რა ჰქმნას!..

აი, ავიღოთ თუნდა ს. ქვემო-ჭალის «ინტელიგენცია» და მისი «მოღვაწეობა». მკითხველს ეხსომება, რომ ეს ორი თვეა, რაც აქ ქ-ნ ო. ნ. ალექსი-მესხიშვილის თაოსნობით დაარსდა სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო. მაგრამ ჯერ გახსნა სად იყო, რომ ზოგიერთმა არამკითხე კრიტიკოსებმა უკვე ცხელ-ცხელი ჭორები გამოაცხეს და საზოგადოებაში გაავრცელეს, თუმცა, რასაკვირველია, მათმა კუდა-მელაობამ საზოგადო საქმეს ვერა ავნო-რა.

«ვერ იხეირებსო, მკითხველი არ ეყოლებაო»,—გაიძახოდნენ და კვლავ გაიძახიან არამკითხე გულშემატკივარნი. ერთი იძახის: მე სამკითხველოში არ ვივლი, ვინაიდან ყოველი საზოგადო საქმე და კერძოდ სამკითხველოც ჩვენთვის, ქართველებისათვის, მავნებლად მიმაჩნიაო». მეორე ამბობს: «სხვები არ დადიან და, მე რომ ვიარო, რას იტყვიანო».—«მე რომ სამკითხველოში სიარული ვიწყო, ბიძია გამიჯავრდებაო», უწლოვანი ბავშვივით გაიძახის მესამეც.

მებრალებიან, გულწრფელად მებრალებიან!.. ნუ თუ მთელს თავისს სიცოცხლეში სულ სხვისის ჭკუით უნდა იცხოვრონ ამათ და იოტის ოდენი თავისი მსჯელობაც არ უნდა ჰქონდეთ?! ნუ თუ ეგრე დავკნინდით, ნუ თუ ეგრე დავწვრილმანდით ქართველები, რომ საკუთარის სჯა-ბაასის უნარიც კი აღარა გვაქვს?

სტუმარი.

ჩვენებური ამბები

სოფ. ძველი-გავაზი. (თელავის მაზრა). სოფ. ძველ-გავაზს ჩრდილოეთ-დასავლეთით უდევს ლეკების სოფლები: სიპიანი, თივი, თებელ-ჯოხი და გუბის-ყური. ამ სოფლების მცხოვრებ ლეკებსა და სოფ. ძველ-გავაზელებს ამ ათი ხუთმეტი წლის წინად დიდი უთანხმოება, დიდი დავიდარაბა ჰქონდათ ერთმანეთში. მაგრამ შემდეგ ეს შეუგნებელი მტრობა და ჯავრის ამოყრა ნელ-ნელა მოისპო, დრომ გადაიტანა თან და ეხლა ლეკებსა და ქართველებს ერთმანეთში ძმობა-მეგობრობის მეტი არა აქვთ-რა. ამ დამეგობრებას მოჰყვა, რასაკვირველია, ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, ოჯახების გაცნობა და თავიანთებურად, თავიანთ გემოზედ დროების ტარება და ლხინ-ქეიფი. გარდა ამისა, ქართველები და ლეკები საქმის დღეს ერთი-ერთმანეთს ჰშველიან. ლეკები მომეტებულ ნაწილად ჰშველიან ხოლმე ქართველებს დღიურად, რადგან ქართველ ძველ-გავაზელებს უფრო მეტი საქმე და სამუშაო აქვთ, ვიდრე ლეკებს. ამ მიშველებით ლეკები ძველ-გავაზელებს დიდს შეღავათს აძლევენ სხვადა-სხვა საქმეების გაკეთებაში, მაგალითად, ჰშველიან ვენახებსა და მინდვრებში ქვისა და წალმის აკრეფაში, ყორის გაკეთებაში, ვენახის შესარგავში, თივის აღებაში და დადგმაში, ერთის სიტყვით, რაც ადვილი საქმეა, იმის გაკეთებაში ჰშველიან, და შველიან ძალიან ნაკლებ ფასად, ე. ი. 30—40 კაპ., ქართველი-კი ამავე დროს თხოულობს დღიურ ფასს 35—60 კაპ.

გარდა კაცებისა, სამუშაოდ დაიარებიან ლეკის დედაკაცებიც. დღიურ ფასს კაცებზე ნაკლებს იღებენ.

აი რამდენად დიდი სარგებლობა მოუტანა ლეკებსა და ქართველებს შერიგებამ: როგორც დავინახეთ, ქართველები იაფ-ფასად შოულობენ ლეკებს და აკეთებინებენ სადვილო საქმეს, ლეკებიც გამორჩომაში არიან, ცუდად ყოფნას, ხელის განძრევა სჯობიან.

თუ გლეხ კაცს კარგი ღვინის მოსავალი აქვს, მეზობელ ლეკსაც უხარიან. იმიტომ, რომ იმასაც ქართველივით ნუნუით ლოყების გამოწითლება შეუყვარდა, და თუ იმის მეგობარს ბევრი ღვინო მოუვა, ისიც ბევრს იმხიარულებს, ბევრჯერ გადაჰკრავს ნაგნაგს. აჭაური გლეხი, როდესაც-კი რთველი აქვს, ყურძნის კრეფაში მუდამ ლეკსაც უძახის, რადგან ფას-ნაკლებად ვინც უშველის, მისთვის სასარგებლოა. აგერ რთველი დაიწყო, ლეკებიც ემზადებიან რთველში, მხოლოდ ყურძნის გამოზიდვას, სახლში წაღებას და ნავში ჩაყრას შველის მეგობარსა. როცა ტკბილი დამაჭრდება, ლეკი უანგარიშებს თავისს მეგობარს, რაც ერგება იმას. ერთ დღეს თუ უშველა, ორ-სამ დღეს იმასთან დროებას გაატარებს, მაჭრით თავს ტკბილად შეიქცევს.

შემოდგომაზე აქ კარგი მოსავალი იყო ღვინისა და პურისა. სხვა დანარჩენ სოფლებშიაც, ალაზანს გაღმა, მოსავალი ასეთივე იყო.

კოტე ალაზნისპირელი.

თელავი. თელავი არამც თუ ქალაქებს, ბევრს დაბა სოფლებსაც-კი ჩამორჩება თავის უსწორ-მასწორო გზებით, უსუფთაობით, ქუჩების გაუნათებლობა-მოუწყობლობით და სხვ. ქალაქის გამგეობაში 13 ხმოსანია; ესენი, მომეტებულ ნაწილად, ვაჭრები არიან, სულ სომხები, მარტო ორია ქართველი. მოურავიც სომეხი ჰყავთ და 16 თებერვალს მის თანაშემწედაც სომეხი აირჩიეს. ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდესო, ჩვენ შორის სხვას რა უნდაო. თანაშემწის არჩევანზე დიდი მითქმა-მოთქმა, ფაცა-ფუცი და სადილები ჰქონდათ, მაგრამ მოურავის არჩევანზე ვინ გაბედავს კანდიდატის წამოყენებას. ყველა დარწმუნებულია, რომ მოურავად არჩეულ იქნება მოურავივე. არც დასები, არც სადილები, არც ოპოზიცია თელავის თვით-მმართველობაში არ სუფევს. ამ ჟამად თელავის მოურავად არის მეორეჯერ—4 წლ. ვადით არჩეული თათუზოვი.

ამ რიგად, დღეს თელავის თვით-მართველობას სომხები განაგებენ. არც გასაკვირველია. ქალაქის საუკეთესო ადგილი, ქართველებით დასახლებული ამ რამდენისამე წლის წინად, თავ. ურჩაბაშვილებისა და ვახვახიშვილების წყალობით, ხოლო თელავის აღების უყურადღებობით, ქალაქს ჩამოეცალა და ეწოდა კურდღელაურის «დაჩა». ამ ფარგალში მოქცეულთ არავითარი ხმა არა აქვთ თელავში, სამაგიეროდ, ხშირად მიდიან მათთან მამასახლისი, გზირები და ახდევინებენ სხვადა-სხვა სოფლის ხარჯს. ყველაზე იუკადრისა ასეთი ქცევა სოფლელთა, დაიწყეს თხოვნების გზავნა: როგორც წინად, თელავს შევიერთეთო, მაგრამ ამაოდ. ახლა უმაღლეს მთავრობასთან აპირებენ თხოვნის გაგზავნას. ისე არიან მოწადინებულნი თელავში ჩარიცხვას, რომ ვერც ქალაქის მოურავის თათუზოვის, რჩევა (როგორც ბ-ნი მოგზაური სწერს თავისს ფელეტონში, («ივერია» № 6) ვერ იმოქმედებს მათზე და ვერც სხვა ვინმე. არც ისე უვიცნი არიან ამ ნაწილში მცხოვრებნი ქართველნი, რომ არ იცოდნენ, რა მნიშვნელობა აქვს ქალაქსა და სოფელში ხმას. ამ ნაწილში მცხოვრებთ რომ ხმა ჰქონდეთ, მაშინ თვითმმართველობაში ქართველნი შეერიოდნენ და იქნება გადაეჭარბებინათ კიდეც სომხებისთვის.

შიდა-კახელი.

ნარკვევი

ბ-ნი ბისტრენინი სამართლიანად ამბობს გაზ. „ნოვოსტ“-ში, რომ ომიანობამ არ უნდა შეაჩეროს რუსეთის გამრჯელობა შინ, შინაურ საქმეთა წარსამატებლადაო.

ჩვენნი გმირნი-მეომარნი, როცა ომს გაათავებენ, არ გვეტყვიან განა: ჩვენ ჩვენი სისხლით უკუ-ვაქციეთ მტერი, დავღვარეთ სისხლი და ქონება რუსეთისა, ხოლო თქვენ რას აკეთებდით, ვიდრე ჩვენ ომის ქარ-ცეცხლში ვიყავით და ათას ვაი-ვაგლახს ვითმენდით? ნუ თუ მხოლოდ მიზეზიანობდით, მიმდინარე საქმენი მიატოვეთ და დაივიწყეთ ის წმინდა ჭეშმარიტება, რომ ცხოვრებას არ უყვარს გაჩერება ერთს ადგილას?

უეჭველია, რომ ომი ცოტა ძალ-ღონეს არ გაიწვევს შორეულ-აღმოსავლეთში და ეს გარემოება დააბრკოლებს შინაურ საქმეების გადაწყვეტას, ხოლო სრულიად არ უნდა შეაჩეროს. და რაც უფრო თანაბრივ და გულდამშვიდებით ივლის წინ შინაური ცხოვრება, მით უფრო მეტად იჩენს თავს ჩვენის ერის ძლიერება, მით უფრო მალე მოიდრეკს ქედს თავ-გასული და გაზვიადებული მტერი. ფული თუ დაკარგე, ისევ იშოვი, იმედი თუ დაჰკარგე, ყველაფერი დაჰკარგეო,—ამბობს ანდაზა. მაგ იმედის, მაგ სასოების შერჩენაა დღეს პირველი საქმე, ეგ არის წინდი ჩვენის სამხედრო ძლევა-მოსილებისა, ეგევეა თავმდები წაწარმატებისა შინ.

სწორედ ახლა არ შეიძლება მოჩოფორთება და მიზეზიანობა. ომი, რაც უნდა ძლევამოსილი იყოს, დიდად აწყლულებს ერის აგებულებას და მის განსაკურნებლად განსაცვიფრებელი ხელის-შემწყობი ვითარებაა საჭირო. აი ამას უნდა მიექცეს დღეს ყურადღება, ამისათვის არის საჭირო დიდი შრომა, გამრჯელობა, და მიზეზიანობა აქ მალამოს ვერავის დასდებს.

„ივერიის“ ფოსტა

ა. ჯ—ძეს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. დაუსაბუთებელია. სიმართლეს თვით საზოგადოება გაარჩევს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მარტი.

პეტერბურგი. პეტერბურგელმა «Associeted Presse»-ს წარმომადგენელმა შემდეგი დეპეშა გამოაცხადა, რომელიც ვაშინგტონიდან მიუღია: «შეერთებულის შტატების მთავრობა უარს-ჰყოფს, არავითარიმე განზრახვა არ ყოფილა, აღძრუ-

---

სუქივით უბერავს და აჩენს სახმილს. დიაღ, ეს სატრფიალო საზოგადო კანონია, მაგრამ ოთარ-ბეგს ამგვარი ხომ არა უჭირს-რა?! სულ სხვა გრძნობით არის გამსჭვალული! სხვა გვარი ვნებათა ღელვა ამოძრავებს და გარეგანი მათი გამოსახვაც სხვანაირი უნდა იყოს. და მაშ გუნია ბეჭებს რაღად იწუხებდა თრთოლვა-ფართხალით? გრიმიც არ უვარგოდა. მაზეპასავით ჩამოფარცხული ულვაშები არა ჰგავდა ქართულად გადმოგრეხილ ულვაშს! ეტყობა, რომ შეგნებული არტისტი აღარ ჩაჰკვირვებია შიგა და შიგ როლს,—მოუცლელობის გამო... ალბად დრო აღარ დარჩენია! ნათქვამია: «მწევარი რომ ორ კურდღელს ერთად გამოუდგება, ვეღარც ერთს ვეღარ დაიჭერსო» და «ორი ნესვი ერთად ერთის ხელით არ დაიჭირებაო». ცხადია, გუნიასაც უძნელდება ერთად ორი საქმის ხელში დაჭერა; არტისტობისა და თეატრის გამგეობისა, მით უფრო, რომ პირველის ვეზირი გულია და მეორესი—კუჭი. და ახლანდელ დროში, როცა ეს ზედა და ქვედა სართულის ბატონები ერთმანეთს შეეტაკებიან ხოლმე, გამარჯვება კუჭსა რჩება... ოჰ, რამდენი რამ კარგი გაუფუჭებია წყეულ კუჭს!.. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: გული ანგელოსის სადგურია და კუჭი—ეშმაკისაო. რა კარგი იქნება, რომ გუნიაც იჯმნას ეშმაკისაგან.

3) ქ-ნ კარგარეთელი ზეინაბის როლში.

ჯერ, სანამ ზეინაბ-კარგარეთელზე ვიტყოდეთ რამე, თამარ-ზეინაბზე უნდა ჩამოვაგდოთ საუბარი. ვინ არის ეს პიესის ვითომდა გმირი-ქალი? ნამდვილი ტიპია ჩვენის ისტორიულ ქალების? თუ ავტორის ნაოცნები საზღაპრო ვინმე?.. არც ერთი და არც მეორე!.. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ქართველი დედები ისე, რომ არ მოგვაგონდეს სარწმუნოება ნინოსი, მოწამობა ქეთევანისა და სიბრძნე-სათნოება,—თამარისა!...

«სამაია სამთაგან, რა კარგი რამ ხარო!» გადმოგვცემს ზეპირ-სიტყვაობა და ეს ზეციური «სამაიაც» ისტორიულ ლიტონიაში ერთად მოფერხულე, პირად გადასაღები დედანი იყო ქართველ ქალებისათვის, და მიტომაც არც ერთ საუკუნეში ივდითები არა გვკლებია!.. მაგრამ ივდითები ჩვენებური და არა ბიბლიისებური. ისინი მახვილით ჰფარგლავდნენ მოხიბლულსა და ვნება-მიძინებულ ოლოფერნებს, საქართველოს გასამუსრავად ამოღებულ ხმალს უკანვე, ქარქაშში აბრუნებდნენ თავის ქალურის სათნოებით. იმათგანი იყო მთავრის ასული და მთავრის ნაცოლარი მარიამ დედოფალი, როსტომ მეფის მეუღლე. თვით ქრისტიანობის არა უარმყოფელი ქართლში წამოჰყვა ცოლად მაჰმადის აღმსარებელს მეფეს და, როგორც მზე გადმონატყორცნი, სხივები მადლით უნათებდა და უთბობდა გულს მოხუცს თანამეცხედრეს საქრისტიანო საქართველოს საკეთილდღეოდ და ისიც მეუღლის ნება-სურვილის მიმყოლი მამობას უწევდა საქართველოს: ამაგრებდა ციხე-დარბაზებს და აშენებდა ტაძარ-მონასტრებს. თვით პიესაში მოხსენებული თამარ-დედოფალი, ასული ვახტანგ-მეფის, სჯულის მდებელისა, ცოლი თეიმურაზ მეფის და გამზრდელი დედა პატარა-კახის ირაკლის, სახელს იხვეჭდა შორს ქვეყნებშიაც კი და ამიტომაც შემოუთვალა სპარსეთის ყეენმა: „დამეხმარე და დამიმშვიდე შენის ზედგავლენით დაღისტანიო»! რომელი ერთი დავასახელოთ? ამისთანები იყვნენ ჩვენი დედები საზოგადოდ და ფეხქვეშ არავის უვარდებოდნენ!..

მაშ ეს ვიღაც ზეინაბ-თამარი საიდანღა გამოტყვრა მისის ზნეობითი უშვერებით? — როგორც მოციქულთა შორის იუდა, თამარ-ცბიერისა არ იყოს, შიგა და შიგ გამოერეოდნენ ხოლმე ჩვენს დედებში ამგვარი ტიპებიც: სპარსულ გემოზე აღზრდილნი, ტარიელების მიმდევარნი და ფუფუნების მაძიებელნი. ერთი იმათგანია ზეინაბ-თამარიც. იგივე ოთარბეგია მანდილ მოხვეული. სანამ თავისუფალის ხალხის დედოფალი იყო და მეფე თეიმურაზს გვერდში უპირბადოდ უდგა, თამარობდა, და როცა შემოვიდა თათრობა, მაშინ ზეინაბობა იკისრა და სოლეიმანის ფეხთ-მტვერ ცოლად გადაიქცა. მართალია, თვითონ ამბობს: შურის ძიება მინდოდა და შორეულ-განზრახვას ვემონებოდიო, მაგრამ ეს სულ ტყუილია! სინიდისის გამოღვიძების დროს სხვებს ატყუებს და თავისს თავსაც იტყუებს!.. განა შესაძლებელია, რომ ოცის წლის განმავლობაში პირბადით იაროს ადამიანმა, ითვალთმაქცოს, ყოველგვარი სისაძაგლე ჩაიდინოს და კიდევ წმინდა რამ შეინარჩუნოს გულში? ის თვალთმაქცობა ხომ ჩვეულებად გადაექცეოდა და ამიტომაც ამბობს ანდაზა: «ჩვეულება რჯულზედაც უმტკიცესიაო», ამას აკი თვითონაც ამტკიცებს ზეინაბი, როცა სიტყვა საქმეზე მივარდება?!. როცა საბა-სალოსებისა და ანანიების მეოხებით «აღდგომა» მოახლოვდა, ზეინაბის გულშიაც იფეთქა ქართველობამ. მოაგონდა ადრინდელი თამარობა და მოჰყვა ფიცს: ოცის წლის განმავლობაში, მხოლოდ წმინდა შორეულ მიზნის განსახორციელებლად, ყოველიფერი უარვყავიო: ჩემი ადამიანობა, ქმარი, შვილი, პატივი, დიდება, სარწმუნოება და ყოველიფერიო. და მათ ნაცვლად გულში საიდუმლოდ ვატარებდი მხოლოდ ჩემის დატანჯულისა და წამებულის ხალხის სიყვარულისა»! რა კარგი და მსწრაფლ მომხიბლავი სიტყვებია!.. მაგრამ მხოლოდ სიტყვებია!.. და საქმით ვერ დაამტკიცა, როდესაც «აღდგომა» დაუდგა ქართველობას და „გამარჯვებულმა ხალხმა, იმ წამებულმა ხალხმა, რომელიც, როგორც ამბობდა, გულში ედვა, «ქრისტე აღდგაო» მიულოცა გამობრუნებულ, დედოფალს, იმან ვეღარ მოახერხა, რომ ეთქვა: «ჭეშმარიტადო!» და თავისუფალ ერისთვის უპირბადოდ შესაფერი დედოფლობა გაეწია!.. აღარ უნდოდა ზეინაბობა და თამრობა-კი ვეღარ მოახერხა და თავი მოიკლა!.. ამგვარი სინანული, და ეს თავის მოკვლა ქრისტეანე ქართველის ქალისა ისტორიული არ არის და თუ მომავლის წინასწარმეტყველებაა, ისმინოს უფალმა!.. ესენი ყველა გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ზეინაბის როლის მოთამაშეს და არ უნდა დაივიწყოს, რომ თამარ-ზეინაბი ბუნება-ჭრელი, უძალმოსილო არსებაა და მისი ძლიერი სიტყვებიც ვერა სჭრის. მაგალითად, როდესაც ის აღგზნებით თავისს სურვილზე ესაუბრება სოლეიმანს, სოლეიმანი იმ დროს ავალებს: «რუქაია მომგვარეო ჩქარა»!.. ცხადია, რომ მისს სიტყვაში რაღაც სიყალბეს ჰგრძნობს შორს მჭვრეტელი. ძნელია მდგომარეობა ზეინაბისა და უფრო ძნელია მისი სასცენოდ გადმოღება!.. ჯერ არსად გვეგულება ქართველებში მისთანა ვინმე, რომ ზეინაბი უნაკლულოდ წარმოგვიდგინოს!.. მაგრამ ნათქვამია: «საცა არ იყოსო, ცოტა კმარიყოსო», და ჩვენ მიტომ ქ-ნ კარგარეთლის ქალსა ვსჯერდებით. ეს არტისტი-ქალი სცენისათვის, სვიმონიძისა არ იყოს, სწორედ გაჭირვების ტალკვესია!.. დაუზარებელი და უსაყვედურო. შეჰფერის თუ არა როლი, მიუდგება მის ამპლუას თუ არა, სულ ერთია—მოახვევენ თავზე და ისიც ჰკისრულობს. ალბად, ზეინაბის როლშიაც ამგვარად გამოიყვანეს და უნდა ვსთქვათ, სხვებზე ნაკლებ არ უთამაშნია და კიდევ უკეთესიც იქნებოდა, რომ როლი სცოდნოდა. აღელვების დროს წამ-და-უწუმ კავებზე ივლებდა ხელს.

ბევრს ეგონა, რომ ეს ქართული მიმიკა არისო; მწუხარების დროს კავებს იგლეჯს და მორცხვობის დროს-კი იგრეხს; მაგრამ რა შუაშია?!. მიზეზი თურმე სხვა იყო: სქელი კავები ყურებზე ედებოდა და სუფლიორის ყურის გდებას უშლიდა და ზეინაბიც იმ მოუსვენარს აქეთ-იმით მიდენ-მოდენიდა.

4) ქ-ნი გაბუნიას ქალი ისახარის როლში.

დარბაისელი, დიდის ოჯახის ბურჯი, ჭირში და ლხინში ბატონების თანამოზიარე, ძველებური გამდელი ვერ წარმოგვიდგინა გაბუნიას ქალმა. გულში ნაღვლად ჩაკვირვებული პირადი უბედურება, მოთმინებითა და დროს მოლოდინით ატანილი, არ სჩანდა მისს სიტყვებში. ის უფრო სოფლის დედაკაცსა ჰგავდა, კალოზე მოწუწუნეს, გზირებს რომ სწყევლის ხოლმე; «მამასახლის-სუდიების ბძანებით ამიკლოო»! ბევრად უკეთესი იყო ამ როლში ჩერქეზიშვილის ქალი. ცხადია, რომ ამ მაღალ ნიჭიერ არტისტ-ქალს, გაბუნიას, აღარა რჩება დრო, რომ ხელოვნებაზე იფიქროს და დღიურ წვრილმანობას არ გადაჰყვეს.

5) ბ-ნი აბაშიძე ბესოს როლში—

კარგი რამ იყო. ნამდვილი ზომიერი იმერელი, საწერეთლოს მცხოვრები, ჰკვიანი, დროზე მიქმელი, დროს შესაფერად მოსიტყვე-პასუხე; როცა უნდა წინ დახედული და თავ-შეკავებული და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, თავ-აშვებული ხუმარაა. ქართველ მეფეებისა და დიდებულთა კარზე სწორედ ამ ტიპის ხუმარები იყვნენ ხოლმე.

6) რთხელი გაიანეს როლში—

გამოხტა სცენაზედ თამამად, როგორც სცენის შინაური. თამაშით კარგად თამაშობდა, მაგრამ სიტყვებს-კი აფუჭებდა. სურდო-მოკიდებულის სოფლის გოგოსავით რაღაცას წიწინებდა. თითქოს ინდოურის ჰუკებს «ჰუკ-ჰუკ-ჰუკს» უძახისო. სად იყო დავითაშვილის ქალის შნო, ბუნებრივობა და მარტივობა?.. ბოლოს და ბოლოს-კი შევიდა როლში, სიტყვებსაც უკედ ამბობდა და მითი დაგვანახვა, რომ მარტო ნიჭის იმედზედა სდგას და შრომა-წრთვნას გაურბის, თორემ უკეთესი გაიანე იქნებოდა.

7) მღივნის ქალი რუქაიას როლში.

ლამაზი, ცუგრუმელა, ბავშვივით მოჩიფჩიფე გოგონა, სრულიად არა ჰგავდა ვნებით სავსესა და ქვენა ზრახვებით გავერაგებულ ხარაჯს, პირველ ცოლობის

ლიყო საქმე ნიუჩუანში ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო. ამერიკის სამხედრო გემს «გელენა»-ს, გალხვება თუ არა ყინული ნავთსადგურში, მაშინვე დაიბარებენ».

მოსკოვი. გენერალ-ადიუტანანტი კუროპატკინი იაროსლავის სადგურიდგან მოვიდა დ ჩამოხდა გენერალ-გუბერნატორის სახლში. აქ, ჯარების სახელით გენერალს ჩამოჰკიდეს გულზე სატარებელი ოქროს ხატი წმიდა გიორგი ძლევამოსილისა; შემდეგ გენერალი კუროპატკინი მივიდა «კეთილშობილთა საკრებულოში». თავად-აზნაურთა წინამძღოლის სიტყვის პასუხად კუროპატკინმა, სხვათა შორის, სთქვა: «რუსეთს ბევრჯერ ამაზე მეტი მძიმე განსაცდელი გამოუვლია, ვინემ ის, რაც ეხლა მას ბედმა არგუნა, და ყოველთვის ძლევა-მოსილად გამოსულა განსაცდელისაგან. ჩვენ ყველანი დამშვიდებით უნდა ველოდეთ, რომ ბრძოლა, რომელიც ჩვეგან არ არის დაწყებული, გათავდება ჩვენდა სასარგებლოდ ძლევა-მოსილობით. ხელმწიფის ნებით, შორეულს აღმოსავლეთს შეიკრიბა ძლიერი ჯარი და თუ არ იკმარებს, ახალი ჯარები გაიგზავნება. ჩვენ ყველანი ვიგრძნობთ მტკიცე კავშირს რუსეთთან და რუსეთის გულთან—მოსკოვთან. ვედრებანი მოსკოვისა და ვედრებანი რუსეთისა განგვამხნევებს და განგვამტკიცებს ჩვენ, რომ დავიცვათ რუსეთის საქმეები შორეულს აღმოსავლეთში. თქვენ ყველას, მოსკოვის წარმომადგენლებს, მთელის მანჯურიის ლაშქრის სახელით მძიმედ გიკრავთ თავსა».

მოსკოვი. გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი სამების მონასტერში მივიდა. მამა ნიკონმა გენერალი კუროპატკინი დალოცა ღირსისა მამისა სერგეის ხატით, რომელიც რუსეთის ჯარებს ლაშქრობის დროს თან დაჰქონდათ. ეკლესიის მედროშეებმა მიართვეს ხატი. სადგურზე მოსულმა სტაროობრიადცებმა გენერალს ხატი მიართვეს.

კრონშტადტი. ხვალ ყველა გემები, რომელიც წასასვლელად არიან დანიშნულნი, შეუდგებიან შეიარაღებას.

მადრიდი. საზღვაო, ფინანსთა და საეროო განათლების მინისტრები სამსახურს თავს ანებებენ.

ტიან-ძინი. («რეიტერის სააგენტო»). აქ მოვიდნენ მომეტებული ნაწილი უცხოელების სახლობათა, რომელნიც ნიუჩუანში სცხოვრობდნენ. შანსის პროვინციაში დიდი უწესოებაა. ამბობენ, უწესოება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ იტალიელმა ტყვიით მოჰკლა ჩინელიო.

პორტ-არტური. (საკუთარის კორესპ.). პორტ-არტურის რაიონში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. 26 თებერვალს, სროლის დროს, ყუმბარის ნამსხვრევით მსუბუქად დაიჭრა ყბაში პოლიცმეისტერი ტაუცი.

1 მარტი.

პეტერბურგი. «მართებლობის მოამბეში» გამოცხადებულია დებულებანი, თუ როგორ უნდა დაიცვან დანიის და ნიდერლანდების ქვეშევრდომებმა რუსეთსა და იაპონიის ომის დროს ნეიტრალიტეტი.—რადგანაც ბევრმა კერძო კაცებმა განაცხადეს სურვილი მიიღონ მონაწილეობა საავადმყოფოების მოწყობაში, აღმასრულებელმა კომისიამ საყოველთაო საცნობლად გამოაცხადა, ვისაც თავის ხარჯით სურს მოაწყოს და შეინახოს ომის დროს ერთი საწოლი, რომელსაც შემწირველის სახელი დაერქმევა, უნდა წითელი ჯვრის უმთავრეს გამგეობაში შეიტანოს ერთი საწოლის მოსაწყობად 50 მ. და საზდოშესანახად თვეში 75 მანეთი.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო»). 29 თებერვალს მარკიზი იტო კორეას წავიდა და ჯერ-კი კობეში შეივლის. სადგურზე დაესწრნენ უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და აუარებელი ხალხი, რომელთაც დიდის ამბით გაისტუმრეს.

პარიჟი. გარდაიცვალა სენატორი ტრარიე.

მოსკოვი. გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი კურსკის გზის სადგურზე დაბრუნდა ექვს საათზე, შეეგება მას ყოვლად-სამღვდელო ტრიფონი და პანტელეიმონის ძმობის და ბრონიცკის საზოგადოების მედროშენი. მედროშეებმა ხატები მიართვეს. საღამოს რვა საათზე სადგურზე შეიკრიბა გენარლობა და თავად-აზნაურობის და ქალაქის დეპუტაცია ხალხი მღეროდა ჰიმნსა და «ურას» ძახილით გააცილეს.

პეტერბურგი. მეორე შინაგანი სესხის მოგება ერგო შემდეგ ბილეთებს:

ორასი ათასი—11,598/47; სამოცდა თხუთმეტი ათასი—4430/29; ორმოცი ათასი—3687/16; ოცდახუთი ათასი—18389/41, ათი ათასი-14149/1, 18985/28, 10824/38, რვაათასი-19645/50, 3128/13, 3901/11, 9047/2, 14122/47: ხუთი ათასი—7470/41, 5829/24, 15688/22, 10988/46, 4631/11, 15167,43, 19463/29 11698/38; ათას-ათასი მან. 1637/30, 10888/16, 2680/41, 17039/2, 18277/13 16111/43. 15888/11, 11799/34 8264/15 82/47, 18189/47; 16728/27, 17874/49, 7852/37, 594/2, 4333/2, 15058/20, 5494/25, 4913/1, 11616/19.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო»). 26 თებერვალს პორტ-არტურზე იერიშის მიტანის გამო ადმირალმა ტოგომ მოხსენება წარადგინა, რომლიდანაც სჩანს, რომ ერთი იაპონიის ფლოტთაგანი ღამის პირველ საათზე მიუახლოვდა ნავთსადგურის შესავალს, თუმცა რუსეთის ბატარეიებიდან ესროდნენ ყუმბარებსა. გემთა მეორე წყობის ბრძოლის დროს ექვსი რუსთა ნაღმოსნები იაპონელთა ყუმბარებმა დააზიანეს. იაპონელებს რვა კაცი დაუჭრეს და შვიდი მოუკლეს. «აკაზუკზე» აფეთქდა ორთქლის ლულა, ამ დროს ოთხი კაჩეგარი მოკვდა. არც ერთი იაპონელთა გემი წყლებიდან არ გასულა. ორ რუსეთის ნაღმოსანთა ბრძოლის დროს ერთი ძლიერ დაზიანებული წავიდ, მეორე «სტერეგუშჩი» დაიძირა. ხალხი გადასხა ნაღმიან გემების შემუსვრელ «საზანამიმ», რომელზედაც აღმოსჩნდა 2 მოკლული. ამ ბრძოლის დროს, რომელმაც ერთს საათს გასტანა, ნაღმოსანთა შემმუსვრელ «აკაზუკიზე» ორი მიჩმანი დაიჭირა და 3 ჯარისკაცი. ტოგო შემდეგ ამბობს, ერთი იაპონიის კრეისერთაგანი გაიგზავნა ტალიეივანს, საიდანაც კუმულს სიანშანტოუს ესროდა ზარბაზნებსაო. პორტ-არტურზე სროლის დროს რუსეთის ბატარეიებს იაპონიის ფლოტისათვის არავითარიმე ზიანი არ მიუციათ.

პორტ არტური. («რეიტერის სააგენტო»). რუსეთის ჯავშნიანმა კრეისერმა «დიმიტრი დონელმა» დამიეტიდან ჩრდილოეთის მხრივ, 12 მილის მანძილზე, შეაჩერა ინდოეთში მიმავალი ინგლისის გემი «მორტლეკი». ზარბაზნის სროლის შემდეგ ორი რუსის აფიცრი ავიდნენ გემზე და მოითხოვეს გასაშინჯათ ქაღალდები. კაპიტანმა იმათი მოთხოვნილება აასრულა, მაგრამ განუცხადა, რომ ამით გემს დაბრკოლება ეძლევა და პასუხის მგებელი რუსის გემის უფროსი იქნებაო.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო»). რუსები გროვდებიან ლიაოტუნის ნახევარ კუნძულის დასავლეთ ნაპირას, პულანდიანსა და ფუჩჟოუს ახლო.

ნიუჩუანი. («რეიტერის სააგ.»). ნიუჩუანში მყოფ უცხოეთის საკანონერო ნავის უფროსის შეკითხვაზე, იქაურმა გუბერნატორმა უარჰყო ის ხმა, ვითომ რუსებს განზრახვა ჰქონდეთ ნავებით ჩახერგონ მდინარე ლიაოხეს შესავალი. ფინხუანჩენიდან მოსულის ამბებიდან სჩანს, რომ არც თვით ქალაქში, არც მიდამოებში 24 თებერვლამდე იაპონელნი არ გამოჩენილან.

მოიმედე ხასას. მისი კოცნა-ალერსი უმადო იყო, თითქო ელოგია უნდა ჩამოართვას მოძღვარსაო. მისს თამაშს, თუმცა-კი შეგნებულს, სიცოცხლე აკლდა და არა თუ მაყურებელს, თვით მისს ირაკლისაც ვეღარა ჰხიბლავდა. აღარც სიტყვებსა ჰქონდა მისას ძალა და არც მოძრაობას სიცოცხლე, თითქოს გული უღონდება და მოსასულირებლად ნიშადური ექირვებაო.

8) **გედევანოვი ანანიას როლში.**

ეს ჭკვიანი და კეთილ-სინიდისიერი არტისტი არვითარს როლს არ წაახდენს. კარგად ესმის თვისი მოვალეობა და თუმცა, როგორც ქართველ-სომეხს, ესე იგი ქალაქში მცხოვრებს, წმინდა ქართული ეძნელება, მაგრამ თავი მაინც არასოდეს არ შეურცხვენია და ახლაც კარგი იყო, რომ ბოლოს დროს უკანასკნელ მოქმედებაში არ დასუსტებულიყო.

9) **შალიკაშვილი საბა-სალოსის როლში**—ჩვეულებრივად კარგი იყო, რომ ბოლოს არ წაეხდინა. ვერ მოუვიდა კარგი «ქრისტე აღსდგა!» ისე გამოსთქვა ეს სიტყვა, თითქოს სასოება-მიხდილი გლახა-მათხოვარი შესწუწუნებს ქრისტეს მმოსავ მდიდარს «ქრისტე აღსდგა»-ს და შენც მოწყალება უნდა მოიღოო, მაშინ, როდესაც გრგვინვით უნდა ყოფილიყო ეს ჭეშმარიტება წამონატყორცნი. ისმინა ღმერთმა საბასი და მრავალ მასთანათა ლოცვა-ვედრება... გაუძლო ქვეყანამ იობის განსაცდელს... ახლა ხედავს საბა, რომ ზეცამ მოიბრუნა გული საქრისტიანო საქართველოზე... სჯულის გამტეხელები და მოღალატეები სინანულში ვარდებიან და მაშ, თუ ამ დროს არა, როდის-ღა აღაფრთოვანებს ჭირ-ნახულს ქართველს დ ძლევა-მოსილ უეჭველობით როდის-ღა დაიძახებს «ქრისტე აღსდგაო»? ეს უკანასკნელი ორი სიტყვა გვირგვინია მთელის პიესისა. სუმბათაშვილის პიესა «ღალატი» იწყება ფანატიკოსობით გაბერილ უსულო სიტყვებით: «დიდ არს ალლაჰიო!» და უნდა გათავდეს, განხორციელებულ ჭეშმარიტებით «ქრისტე აღდგაო!». ამ სიტყვებს სულ სხვა გრძნობა უნდა, სხვა ძალა გამოთქმის დროს, რაიცა ვერ შესძლო ბ-ნმა შალიკაშვილმა. დიაღ, უნდა გამოვტყდეთ, რომ დიად გრძნობას საზოგადოდ ვერ სწვდებიან ხოლმე ჩვენი არტისტები!..

10 **ბ-ნი სვიმონიძე დათოს როლში დ ჩარკვიანი ირაკლისაში.**

ეს ორი არტისტი, როგორც გარეგნობით, ისე სიტყვა-გამოთქმითა და ერთმანეთთან შეთანხმებით, სწორედ თავ-თავის ადგილზე იყვნენ და უნაკლულოც. საზოგადოდ სატრფიალო როლები ძნელი სათამაშოა და ერთი უბრალო ხაზის გამრუდება სიცილ-ხარხარს იწვევს. ჰოი, საკვირველებავ! სვიმონიძემ როლი იცოდა, იმერულად აღარ უკიდებდა და აღარც თვალებს ატანდა ძალას, რომ ჩვეულებრივად დაებრიალებინა. სუფლიორის ყურის გდება აღარ უშლიდა ხელს მისის გრძნობის სინამდვილეს. ესევე უნდა ვსთქვათ ჩარკვიანზედაც. ამ არტისტს ყველაზე უფრო უხერხული და უმადური როლი შეხვდა—ირაკლის როლი. თვით ავტორს ეს მემკვიდრე უფლის-წული ისე გამოუსახავს, რომ არ იცი რა უწოდო! არც გმირია, გამბედავი, არც ლაჩარმშიშარა; არც სულელი, არც ჭკვიანი; ვითომ ყველაფერია და არაფერი-კია დ ამ გვარის ტიპის გადმოცემა სცენიდან ძნელია, მაგრამ სძლია გასაჭირს ახალგაზდა მსახიობმა, რადგანაც ყველაფერი ხელს უწყობდა: გარეგნობაც, ენის ცოდნაც, გამოთქმაც, კილოც, ნიჭიც და მონდომაც... დანარჩენ არტისტებზე აღარას ვიტყვი—ისინიც შესაფერად და საკადრისად იალხან-ჩალხანებოდნენ სხვებს.

აკაკი

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

პეტერბურგის ბირჟა

27 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,27½
პარიჟში . . „	37,62½
ბირჟის დისკონტი.	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა . . .	93⅛ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	90½ ნის. გ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	354 წვრ. გაყ,
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	311 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	250½ წვრ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა .	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
ჰიგიენური
ბორნო ტიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსისა.
აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს, ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.
ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—4)

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებით სნებით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ვასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
გულივერის მოგზაურობა
სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

ДУХИ, МЫЛО И ЦВѢТОЧНЫЙ О-ДЕ-КОЛОНЪ
Т-ВА А. РАЛЛЕ и К°
ПАРФЮМЕРІЯ
„ШАМПАКА“

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
ქაჯანა
2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ცალ-ადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“
ცეცხლით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.
დაარსებულია 1847 წელს
მირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664.808 მან.
დაზღვევის ოპერაციები.
ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.
ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ქონებისა.
გ) დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონების და გემ-ტვირთისა.
დ) დაზღვევა ფულისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზე მხოლოდ საფოსტო ... ყველა ადგილას.
დაზღვევას კისრულობს როგორც გემებისა ისე კომპანიის სააგენტოები ყველგან. სტრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებითი ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტოები.
კომპანიის ს.-პეტერბურგის კომპანიის ნადეჟდა„-ს ს.-პეტერბურგში, ადმირალტეისტვოს პრომენადზე, სახლი № 10.
სახლი კარის და ტრანსპორტისა: საზღვაო ნავთსადგომთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავთსადგომებისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.
ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გრაფსკის ქუჩ, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—20)

მიიღება ხელისმოწერ. 1904 წლისათვის ორკვირეულ გამოცემათა ქართულს
„მწყემს“-ზე
და
რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე
XIX
ჟურნალის ფასი:
12 თვით „მწყემსი“ 3 მ. ორივე გამოცემა . 5 მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით . . 4 მ. 6 თვით „მწყემსი“ . 2 მ.
რუსული . . . . 3 მ. რუსული . . 2 მ.
ორივე გამოცემა . 3 მ.
გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში წიგნის მაღაზიაში, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ჭიჭინაძესთან. ახალსენაკში—ბოლოტნიკ ჭყ. არ. კალანდარიშვილთან.
სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**
რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.
გარეშე მსურველნი ჟურნალის დაიწერონ შემდეგის ადრესით: **Въ Квириллы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**
რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომლისაც ორი მანეთად დაეთმობათ მსურველთ.
რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის წიგნები, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშია იბეჭდება და მსურველთ შეუძლიათ დაიბარონ რედაქციიდან.

Доволено цензурою Тифлисъ 1, мартъ 1904 г'
Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинаріи